პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

საკვლევი საკითხი: ,,სადამრიგებლო კლასში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება“

ნესტან კუბლაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
2018 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი
შესავალი
თავი I
1.1. მოკლე ინფორმაცია სადამრიგებლო კლასის შესახებ;
1.2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა;
1.3. პრობლემის შერჩევა;
1.4. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები;
1.5. კვლევის მიზანი;
1.6. კვლევის ამოცანები;
თავი II
პრაქტიკული კვლევის არსი.
თავი III
ლიტერატურის მიმოხილვა.
თავი IV
კვლევის დიზაინი.
4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი;
4.2. კვლევის მეთოდები;
4.3. კვლევის ვადები;
4.4. კვლევის გეგმა.
თავი V
კვლევის შედეგები.
5.1. მონაცემთა ანალიზი;
5.2. კვლევის მიგნებები;
5.3. შესაძლო ინტერვენციები;
5.4. განხორციელებული ცვლილებები;
თავი VI
რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება.
6.1. რეკომენდაციები;
6.2. ინტერვენციის შეფასება;
თავი VII
დასკვნა
გამოყენებული ლიტერატურა.
დანართები.

აბსტრაქტი

კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა და ორიენტირებული იყო პრობლემის გადაჭრაზე. საკვლევი თემა: მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლების ხელშეწყობა. კვლევის მიზანი - დამედგინა, რა

არის მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი. რა ფაქტორები განსაზღვრავს მაღალ აკადემიურ მოსწრებას და პირიქით, რა ფაქტორები უშლის ხელს მოსწავლეს იყოს წარმატებული. ასევე განმესაზღვრა ინტერვენციები, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლის მიმართ შეიცვალოს და შემეფასებინა დაგეგმილი ინტერვენციების ეფექტურობა.
პრაქტიკული კვლევის ფარგლებში გამოყენებულია კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. რადგან კვლევა მიმდინარეობდა საბაზო საფეხურზე, გამოიკითხა მოცემული საფეხურის მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები (ინდივიდუალურად და ფოკუსჯგუფები). მოსწავლეებს დაურიგდათ კითხვარები უშუალოდ მოსწავლისთვის და მისი მშობლისთვის განკუთვნილი. გამოიკითხა რამდენიმე მასწავლებელიც. მოსწავლეთა ფოკუსჯგუფების, მშობელთა და მოსწავლეთა მიერ შევსებული კითხვარების, პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე გავაკეთე გარკვეული დასკვნები,კერძოდ: საბაზო საფეხურის მე-7 კლასებში მე-8 და მე-9 კლასებთან შედარებით მაღალია აკადემიური მოსწრება, მე-8 კლასებში უფრო ნაკლები და მე-9 კლასებში მკვეთრად დაბალი. ამას აქვს თავისი განმაპირობებელი მიზეზები, რომელთაგან, ვფიქრობ, უმთავრესია ე.წ. გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი ფაქტორების გაუთვალისწინებლობა სწავლება-სწავლის პროცესში, აგრეთვე მშობელთა ნაკლები ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.
 შესაბამისი ინტერვენციები -
ა) მშობელთა ჩართვა (მათი კომპეტენციების ფარგლებში) მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად, მათი მონაწილეობით სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიების დაგეგმვა-განხორციელება;
ბ) სადამრიგებლო საათების ჩატარება მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გასააზრებლად;
გ) წახალისების მექანიზნის შემოღება-დანერგვა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
ვფიქრობ, ასეთი მიდგომები დაგვეხმარება ვიპოვოთ არსებული პრობლემის ალტერნატიული გზები.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. ნაშრომში განხილულია მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები და აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები.
ნაშრომი შედგება შვიდი თავისგან. პირველ თავში მოცემულია მოკლე ინფორმაცია სადამრიგებლო კლასის შესახებ; განხილულია საკვლევი საკითხი; კვლევის მიზნები და ამოცანები; პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. მეორე თავში ვსაუბრობ პრაქტიკული კვლევის არსზე. მესამე თავში მიმოვიხილავ ლიტერატურას; მეოთხე თავში წარმოდგენილია კვლევის დიზაინი: სამიზნე ჯგუფი, კვლევის მეთოდები და ვადები; მეხუთე თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს, ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასებას; მეექვსე თავი მოიცავს რეკომენდაციებს, მეშვიდე თავში კი წარმოდგენილია დასკვნა.
საკვანძო სიტყვები: ცოდნის დონის ამაღლება, კვლევა.

თავი I

1.1. მოკლე ინფორმაცია სადამრიგებლო კლასის შესახებ

მე-9ა კლასში 2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისში ირიცხებოდა 21 მოსწავლე, პირველ სემესტრშივე დაემატა 5 მოსწავლე, მეორე სემესტრში წავიდა 2 მოსწავლე და წლის ბოლოს ირიცხებოდა 24 მოსწავლე. 9 გოგონა და 15 ბიჭი. მ/წლის პირველ სემესტრში აკადემიური მოსწრება იყო 34,6% და ხარისხი 0%. სამწუხარო რეალობაა, რომ 24 მოსწავლიდან არათუ წარჩინებული ან წარმატებული მოსწავლე არ გვყავს კლასში ,არამედ 7ქულოსანიც.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული კლასი არც გასულ წელს გამოირჩეოდა სანიმუშო შედეგებით, სამი მოსწავლე კლასში დარჩა, მაგრამ მ/წელს კიდევ უფრო დამძიმდა სიტუაცია და პირველი სემესტრის ბოლოს 17- მა მოსწავლემ ვერ დაძლია საგანი. აქედან ერთ საგანში - 7-მა მოსწავლემ, ხოლო ორ და მეტ საგანში - 10-მა მოსწავლემ. წლის განმავლობაში დაფიქსირებული გაცდენების გამო მაისის მონაცემებით ოთხ მოსწავლეს უკვე უწევს ექსტერნის გამოცდის ჩაბარება.

1.2. საკვლევი საკითხის მიმოხილვა

დღეს საგანმანათლებლო სისტემაში განსაკუთრებით პრობლემატურია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონე და მისი ზრდა-კლების ხარისხი. ალბათ მრავალი მიზეზი მონაწილეობს იმ ფაქტორების ჩამოყალიბებაში, რამაც, შესაძლოა, მოზარდს სწავლისადმი ინტერესი დაუკარგოს, მაგრამ, ვფიქრობ, აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო რთულდებაე.წ. გარდატეხის პერიოდში, როდესაც თითოეულ ბავშვში მნიშვნელოვანი ფიზიოლოგიური და პიროვნული ცვლილებები მიმდინარეობს, როცა მოზარდი ცდილობს თვითდამკვიდრებას, ეძებს კავშირებს, დასაყრდენს, უჭირს თვითგამოხატვა, ერიდება, იკეტება, თანდათან მისი ქცევა პრობლემური ხდება და ბუნებრივია, ყოველივე ეს უარყოფითად აისახება სწავლის პროცესზეც. ამ დროს თავს იჩენს აკადემიური მოსწრების დონის მკვეთრი კლება, რომლის პროპორციულადაც იზრდება მშობლებისა და პედაგოგების მხრიდან ურთიერთდადანაშაულება, რეალურად კი აღნიშნული პრობლემის მიზეზი უმეტეს შემთხვევებში უცნობი რჩება.
არსებული სიტუაცია, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში გრძელდება და მისი მოგვარების ან შემცირების ტენდენცია არ შეიმჩნევა.
წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში, რომელიც ემსახურება იმ მიზეზთა გააზრებასა და დადგენას, რამაც, სავარაუდოდ, განაპირობა ჩემს სადამრიგებლო კლასში (მე-9ა) მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მკვეთრი გაუარესება.

საკვლევი საკითხი ფორმულირდა შემდეგნაირად- ***,,სადამრიგებლო კლასში (მე-9ა) მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება“***

1.3. პრობლემის შერჩევა

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა სსიპ ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლაში. მიმდინარეობდა საბაზო საფეხურზე, მე-9ა. მე-7ა და მე-7დ კლასებში. მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 70-მა მოსწავლემ. აღნიშნული კვლევა გამომდინარეობს სკოლის საჭიროებიდან. კლასის დამრიგებლებთან, საბაზო საფეხურზე შემსვლელ საგნის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ სკოლაში რეალურად არსებობდა პრობლემა, რაც მდგომარეობს შემდეგში: მოსწავლეების უმრავლესობა საბაზო საფეხურის დამამთავრებელ კლასში (მე-9) დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევა.

სტატიაში ,,როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“ სოფიკო ლობჟანიძე გვირჩევს, რომ კვლევის დაწყებამდე საკუთარ თავს დავუსვათ კითხვები:

რამდენად მნიშვნელოვანია ეს სიტუაცია ჩემი პროფესიული ზრდისთვის, ჩემი სკოლისა და მოსწავლეებისთვის? აქვს თუ არა მას საჭირო აღმზრდელობითი ღირებულება?

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად გადავწყვიტე, პირველ რიგში, ჩვენი სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეთა სტატისტიკას გავცნობოდი. სამიზნე ჯგუფად ავირჩიე მე-9ა კლასი და შევადარე ორივე პარალელური კლასის 9ბ და 9გ სტატისტიკურ მონაცემებს , აგრეთვე გასული სასწავლო წლის სამივე მე-9 კლასის და მე-9ა კლასის წინა ორი სასწ.წლის მონაცემებს.

რის შედეგადაც დავადგინე, რომ 2017-2018 სასწ.წლის 1 სემესტრში მე-9ა კლასში 26 მოსწავლიდან 7,8,9,10 ქულაზე ვერც ერთი მოსწავლე ვერ ასწრებს, შესაბამისად, სწავლის ხარისხი 0 %-ია, მე-9 ბ კლასში 25 მოსწავლიდან 7,8 ქულაზე 3 მოსწავლე , ხოლო 9-10 ქულაზე ვერც ერთი ვერ ასწრებს და აქაც ხარისხი 0 %, ხოლო მე-9გ კლასში 25 მოსწავლიდან 9,10 ქულაზე მხოლოდ 1 მოსწავლე ასწრებს და ხარისხი 4 %-ია.







რადგან საკვლევ ობიექტად მე-9ა კლასი ავირჩიე, გადავწყვიტე წინა ორი წლის აკადემიური მოსწრებაც მენახა და დავკვირვებოდი დინამიკის პროცესს, რის შედეგადაც დავადგინე, რომ 2016-2017 სასწავლო წელს ჩემს სადამრიგებლო კლასში 24 მოსწავლიდან 9-10 ქულაზე ვერც ერთი, ხოლო 7-8 ქულაზე კი მხოლოდ ერთი მოსწავლე ასწრებდა. ხარისხი ამ შემთხვევაშიც 0 % -ია, ხოლო 2015-2016 სასწ. წელს 25 მოსწავლიდან 9-10 ქულაზე ვერც ერთი, ხოლო 8-7 ქულაზე ასწრებდა ორი მოსწავლე.





მოცემული სტატისტიკით არ დავკმაყოფილდი და გადავწყვიტე მიმდინარე სასწავლო წლის მე-10 კლასელთა წინა წლის მონაცემებიც მენახა, რის შედეგადაც დავადგინე, რომ 2016-2017 სასწ. წელს მე-9ა კლასში 28 მოსწავლიდან 10 ქულოსანი იყო 3 მოსწავლე, 9-10 ქულაზე ასწრებდა 2 მოსწავლე, 7-8 ქულაზე 11, 5-6 ქულაზე 3, ხოლო 1-4 ქულაზე 9 მოსწავლე. შესაბამისად ამ კლასში ხარისხი 18 %-ია, მოსწრება 68 %.
იმავე წელს მე-9ბ კლასში 9-10 ქულაზე 1 მოსწავლე, 7-8 ქულაზე 3 მოსწავლე, 5-6 ქულაზე 20 მოსწავლე, ხოლო 1-4 ქულაზე - 6 მოსწავლე ასწრებს. ხარისხი 3 %-ია, მოსწრება 80 %.
მე-9გ კლასში 30 მოსწავლიდან 9-10 ქულაზე 1 მოსწავლე, 7-8 ქულაზე - 3 მოსწავლე, 5-6 ქულაზე - 13 მოსწავლე, 1-4 ქულაზე 12 მოსწავლე ასწრებს. აქაც ხარისხი 3 %-ია, მოსწრება 60 %.
ამ მონაცემებით დავადგინე, რომ გასულ სასწავლო წელს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება ბევრად უკეთესი იყო.



პრობლემის უკეთ გასააზრებლად და რეალური სურათის წარმოსადგენად გადავწყვიტე საბაზო საფეხურის სტატისტიკური მონაცემებიც შემესწავლა, რის შედეგადაც დავადგინე, რომ 2014-2015 სასწავლო წელს საბაზო საფეხურზე სწავლობდა 238 მოსწავლე, აქედან ყველა საგანში ასწრებდა 178, სრული წარჩინებული იყო 3 მეშვიდე კლასელი მოსწავლე, წარმატებული 18 მოსწავლე (მე-7 კლ. 4 მოსწ.

მე-8 კლ. 9 მოსწ. მე-9 კლ. 5 მოსწ.) ვერ ასწრებდა სულ საფეხურზე 53 მოსწავლე. (მე-7 კლ. 15 მოსწ. მე-8 კლ. 15 მოსწ. მე-9 კლ. 23 მოსწ.)

2015-2016 სასწავლო წელს საბაზო საფეხურზე სწავლობდა 233 მოსწავლე. ყველა საგანში ასწრებდა 164 მოსწავლე. წარჩინებულია 5 მოსწავლე (მე-8 კლ.- 2 და მე-9 კლ. - 3 მოსწ.) წარმატებულია 17 მოსწავლე. (მე-7 კლ. – 4, მე-8 კლ. – 6, მე-9 კლ. 7 მოსწავლე), ვერ ასწრებს 53 მოსწავლე. (მე-7 კლ. 25 მოსწ. მე-8 კლ. 17 მოსწ, და მე-9 - 11 მოსწავლე). საშემოდგომო გამოყვა 51 მოსწავლეს, აქედან 4 მეშვიდე კლასელი დარჩა კლასში.



სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად დავადგინე, რომ საბაზო საფეხურზე მე-7 კლასიდან მე-9 კლასამდე მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მკვეთრად ეცემა.

1.4. პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

კოლეგებთან საუბრისას საბაზო საფეხურზე დაბალი აკადემიური მოსწრების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურება დასახელდა, მაგრამ ამასთანავე გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორებიც:

- ✓ სახელმძღვანელოების სირთულე;
- ✓ გადაჭარბებული მოლოდინი ბავშვების მიმართ;
- ✓ ყურადღების შემცირება მშობლების მხრიდან;
- ✓ ზედმეტი სიმკაცრე მასწავლებლების მხრიდან.
- ✓ მოსწავლეთა ოჯახების სოციო-ეკონომიკური ფონის გავლენა სწავლა-სწავლების ხარისხზე.

რა შეიძლება იყოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები? პრობლემის ზუსტად განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ კვლევის მთავარი კითხვა:

რა არის საბაზო საფეხურზე, კერძოდ მე-9ა კლასში, მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების გამომწვევი მიზეზი?

კვლევის მთავარ კითხვაში წარმოდგენილი პრობლემის დადგენაში დამეხმარება შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

- არის თუ არა ჩართული მოსწავლის სწავლის პროცესში მშობელი? ოჯახი?
- აქვს თუ არ ყველა მოსწავლეს გაკვეთილებზე საკუთარი ცოდნის გამოვლენის თანაბარი შესაძლებლობები?
- გრძნობენ თუ არა მოსწავლეები სკოლაში თავს უსაფრთხოდ?
- იყენებენ თუ არა მასწავლებლები გაკვეთილებზე ინოვაციურ მეთოდებსა და მიდგომებს?
- რა განაპირობებს საგნის სიყვარულს?
- უზიარებენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას საგაკვეთილო პროცესში წარმოქმნილი სირთულეებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ?
- აცნობენ თუ არა მასწავლებლები მშობლებს განმავითარებელი შეფასების სახით მათი შვილების დამოკიდებულებას სწავლის მიმართ და რამდენად ეფექტურად ახერხებენ ამას?

საკვლევი პრობლემის აქტუალურობის დასადგენად გავესაუბრე სხვადასხვა სკოლის საბაზო საფეხურის რამდენიმე მასწავლებელს, მშობელს და მოსწავლეს. ჩავწერე ინტერვიუ, რის შედეგადაც გამოითქვა რამდენიმე მოსაზრება. ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა მასწავლებელთა ზოგადი მიდგომა სასწავლო პროცესისადმი, ის, რომ:

- ✓ ხშირად არ არის დადგენილი მოსწავლეთა საჭიროებები;
- ✓ არ ხდება ფოკუსირება პრობლემაზე;
- ✓ მასწავლებლების არასწორად ორიენტირებული საქმიანობები ვეღარ ახდენს პოზიტიურ გავლენას მოსწავლეთა შედეგებზე.

1.5. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია დეტალურად შევისწავლო საბაზო საფეხურზე, კერძოს მე-9ა კლასში, მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების განმაპირობებელი ფაქტორები და გამოვნახო პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები.

1.6. კვლევის ამოცანები

- ➢ დაკვირვება მე-9ა კლასის მოსწავლეთა სწავლება-სწავლის პროცესზე;
- ➢ ფოკუსჯგუფების შექმნა და დისკუსიის გზით პრობლემის გადაჭრის გზების ძიება;
- ➢ მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა;

- მონაცემთა ანალიზი;
- შედეგების და დასკვნების პრეზენტაცია.

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი

საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე წამოვაყენე საკვლევი პრობლემა, რომელიც შეეხებოდა საბაზო საფეხურზე ასაკობრივი თავისებურებების გაუთვალისწინებლობით გამოწვეულ პრობლემებსა და მისი გაუმჯობესების გზებს.

პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას, ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ ქმედებას. კვლევაში ჩართულ ადამიანთა გუნდურ მუშაობას, მოსაზრებების გაზიარებას, ერთობლივ გადაწყვეტილებებს სასურველი შედეგემის მისაღებად.

რადგან ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საჯარო სკოლებში საბაზო საფეხური განისაზღვრება მე-7/მე-9 კლასის ჩათვლით, ამიტომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა სწორედ ამ კლასების მოსწავლეების, მშობლებისა და საგნის პედაგოგების მონაწილეობით განვახორციელე.

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა

პედაგოგიურმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სწავლების პირველ საფეხურზე მოსწავლეთა უმეტესობა ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და აკადემიური მოსწრებაც მაღალია, ხოლო საბაზო საფეხურზე მათი მოტივაცია ეცემა, რთულდება მათი ინდიფერენტული დამოკიდებულების შეცვლა სასკოლო ცხოვრების მიმართ,იკლებს ჩართულობაც და შესაბამისად,დაბალია მათი აკადემიურიმოსწრებაც.

მოტივაციის შემსწავლელი მეცნიერი ჯონ ატკისონი თვლის, რომ ორი შეძენილი თვისება: წარმატების მიღწევა და მარცხის თავიდან აცილების სურვილი ამოძრავებს ნებისმიერ ადამიანს. წარმატების მიღწევის გამძაფრებული სურვილის მქონე ადამიანები ცდილობენ კონკურენციის გაწევას, ხოლო მარცხის თავიდან აცილების გამძაფრებული სურვილის მქონენი ყველანაირი ხერხით ცდილობენ თავიდან აიცილონ კონკურენცია (ოუენსი და ვალესკი 2010.) მოსწავლეთა მოტივაციის გამოწვევა გარდატეხის ასაკში არ არის მარტივი საქმე და პრიმიტიული ხერხებით ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. არც რაიმე უნივერსალური მზა მეთოდი არ არსებობს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

ცნობილი მკვლევარი მარზაანო (Marzano,1998,2003) წარმოადგენს სამ ძირითად ფაქტორს, რომლებსაც აქვთ ყველაზე დიდი ზეგავლენა მოსწავლეთა მიღწევებზე: სკოლის დონე, პედაგოგის დონე და მოსწავლის დონე. ის ამტკიცებს, რომ პროცენტული შეფარდებით სხვაობა ყველა 30 კატეგორიისთვის ზეგავლენას ახდენს მიღწევებზე შემდეგი სახით: მოსწავლის დონეზე 80%, სკოლის დონეზე 6,7% და მასწავლებლის დონეზე 13,3%. მოსწავლეთა მიღწევების გაზრდა ან შემცირება, სკოლისა და მასწავლებლის დონის სხვადასხვა ეფექტის შედეგად, დამოკიდებულია სკოლისა და მასწავლებლის და არა მოსწავლის კონტექსტზე. მარზანო ამტკიცებს, რომ ეფექტიანი სკოლის ცვლადი დომინირებს საშუალო მასწავლებლის ცვლადზე, მაგრამ ვერ შეცვლის არაეფექტური პედაგოგის სწავლებას. მეორე

მხრივ, ეფექტიანი მასწავლებლის ცვლადი არა მხოლოდ ცვლის საშუალო სკოლის ცვლადს, არამედ არაეფექტიანი სკოლის კომპენსირებასაც ახდენს. მკვლევრებმა (Darling-Hammond (2000), Ferguson (1991-1996) აღმოაჩინეს, რომ მასწავლებლის დონის ფაქტორები 60% არის პასუხისმგებელი მოსწავლის მიღწევის კოეფიციენტზე.

მკვლევართა და განათლების მესვეურთა აზრით, მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ მოსწრებას უმთავრესად სამი რამ განაპირობებს:

1. სწავლის მიმართ ინტერესისა და მოტივაციის უქონლობა;
2. გარემო, რომელიც არ უწყობს ხელს მოსწავლეთა განვითარებას და არ წაახალისებს მათ აკადემიურ მიღწევებს;
3. სწავლის უნარის დარღვევა, რომელიც ხელს უშლის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ სამივე კატეგორიის მოსწავლეებისათვის დამახასითებელია:

- დაბალი თვითშეფასება;
- გულგრილი დამოკიდებულება სკოლისა და სწავლის პროცესის მიმართ;
- კონკრეტული მიზნის მისაღწევად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვის უუნარობა;
- წარმატებისთვის ძალისხმევის დახარჯვის სურვილის ნაკლებობა;
- საკლასო აქტივობებზე უარის თქმა;
- დაბალი სოციალური უნარები;

რადგან სადამრიგებლო კლასში მესამე კატეგორიის - სწავლის უნარდარღვეული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე არ მყავს, გადავწყვიტე პირველი ორი ფაქტორის გათვალისწინებით გამომერკვია პრობლემის გამომწვევი მიზეზები. ცხადია, ისიც გათვალისწინებული მქონდა, რომ საკითხი კომპლექსურ მიდგომებს მოითხოვს და რეალური მიზეზის დადგენას ამ კონკრეტული კვლევით ვერ შევძლებდი, თუმცა, ვთვლი, რომ აღნიშნული პრობლემის შემცირებას თითოეული ჩვენგანი საკუთარი ძალისხმევით უნდა ეცადოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მე-9ა კლასში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური შედეგების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება.
ალბათ პედაგოგებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, რომ სკოლა ის გარემოა, სადაც ჩვენს მოსწავლეებთან ერთად ცხოვრების უმეტეს ნაწილს ვატარებთ. ამ გარემოში გაცილებით მეტი დამალული რესურსი არსებობს, ვიდრე ამას ხშირად ჩვენ, სასკოლო საზოგადოება, ვხედავთ. ამ ,,განძის“ აღმოსაჩენად შეგვიძლია მარტო გადავეშვათ ან თან ჩვენი მოსწავლეებიც გავიყოლოთ, მაგრამ ჯერ შესაბამისი განწყობა უნდა შევუქმნათ, განწყობა, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მოზარდის ქცევასა და აკადემიურ მოსწრებაზე, მოქმედებს სწავლის პროცესზე, სწავლის სურვილზე, მოტივაციაზე. თეორიულად ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში განხორციელებას ვერ ვახერხებთ. ამის მრავალი მიზეზის დასახელება შეიძლება, მაგრამ , ჩემი აზრით, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენშივეა: მასწავლებლები ხშირად ჩვენი აღსაზრდელების შეზღუდვებზე უფრო მეტად ვფიქრობთ, ვიდრე შესაძლებლობებზე.

კვლევები ცხადყოფენ, რომ მოსწავლეთა დემოტივაციის და დაბალი შედეგების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი შეფასების სისტემის გაუმართაობაა. სპეციალისტთა აზრით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეთათვის იყოს შეფასების კრიტერიუმები ნათელი და გასაგები, არამედ მასწავლებლებმაც ზუსტად იცოდნენ, რა მექანიზმებით ხდება შეფასება და როგორ გამოიყენონ მისის შედეგები.

პირადი დაკვირვებიდან გამომდინარე შემიძლია თამამად ვთქვა, რომ, როგორც ყველა კარს სჭირდება თავისი გასაღები, ასევეა მოსწავლეთა შემთხვევაშიც, ამიტომ უპრიანია ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს მივმართოთ. ამის გათვალისწინება განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია თუ მოსწავლე ე.წ. გარდატეხის ასაკშია, რომელსაც მედიცინაში ჰუბერტატულ პერიოდს უწოდებენ.

სპეციალისტთა აზრით, ამ ასაკში თავჩენილ სირთულეებს ხშირად თავად მოზრდილები - მშობლები, მასწავლებლები, ოჯახის სხვა წევრები - აპროვოცირებენ, რომლებიც უგულებელყოფენ მოზარდის ასაკობრივ ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებებს, ანგარიშს არ უწევენ მის პიროვნებას, რომელსაც აქვს თვითრეალიზების, სამყაროში ადგილის დამკვიდრების მოჭარბებული მოთხოვნილება. თუმცა სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ მზა რეცეპტი, ვინ როგორ უნდა მოიქცეს ამა თუ იმ მოზარდთან, არ არსებობს. ერთადერთი გამოსავალი მოზარდის ხასიათსა და ქცევაში მომხდარი ცვლილებების მშვიდად, აუღელვებლად მიღებაა, რადგან მენტორული და დიდაქტიკური ტონი ხშირად არაფრის მომცემია და ზოგჯერ უარყოფითი შედეგიც კი მოაქვს. როგორც ბოსტონის ბავშვთა საავადმყოფოს ფსიქიატრიული განათლების ცენტრის დირექტორი ექიმი სტუარტ გოლდმანი ამბობს: ,, ეს ის ასაკია, როდესაც ბავშვები ასე ვთქვათ ,,სამსახურიდან ხსნიან“ მშობლებს და წლების შემდეგ ისევ აბრუნებენ მათ, მაგრამ უკვე როგორც კონსულტანტებს და არა როგორც მენეჯერებს“.

დიმიტრი უზნაძის აზრით - ,,სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას“. იმისთვის, რომ მოსწავლემ საკუთარი ძალები განივითაროს, გამოავლინოს საკუთარი თავი და თვითდამკვიდრებაც შეძლოს, სწავლისადმი პოზიტიური განწყობის განმაპირობებელი უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოა. სწორედ ამიტომ, არსებული მეთოდებიდან, პირველ რიგში. გამოვიყენე საკლასო ოთახში დადებითი ატმოსფეროს შექმნა. ამაში მოვიაზრებ ყველაფერს, რასაც პედაგოგი ამჟღავნებს საგაკვეთილო პროცესში: დამოკიდებულება, მოსმენა, გაგება, მოსწავლეთა აზრის გათვალისწინება, სამართლიანობა, თავაზიანობა, იუმორი, სიხალისე, ენთუზიაზმის გამომჟღავნება, პოზიტიური განწყობის შექმნა და ა.შ.

მეორე მეთოდი გახლდათ მიზნებისა და შედეგების დანახვა. მოტივაცია პირდაპირ დაკავშირებულია მიზანთან. მოსწავლეს სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმაზე, თუ რატომ სწავლობს, რისთვის სჭირდება სკოლაში მიღებული ცოდნა და რა პერსპექტივები ექნება მას მომავალში. ამიტომ მასწავლებლები, ვფიქრობ, ვალდებულიც ვართ დავუსახოთ მათ როგორც შორეული (მაგ. წარმატებული კარიერა, წლის ბოლოს გამოცდა), ისე ახლო მიზნები (თემის კარგად დაწერა, დისკუსიაში მონაწილეობა, ტესტში მაღალი ქულა).

დაკვირვებამ მიჩვენა, რომ თამაშის ტიპის სახალისო აქტივობების ჩართვა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებს მოსწონთ, რადგან სწავლის პროცესი თამაშს ემსგავსება და ბავშვებიც დიდ სიამოვნებას იღებენ მისგან. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე გაკვეთილებზე ამ მეთოდის ინტენსიური გამოყენება და მეტ-ნაკლებად მოვახერხე კიდეც კლასის ჩართვა როლურ აქტივობებსა და სიმულაციებში, მაგრამ ხანგრძლივი ეფექტი არც ამ მეთოდს არ ჰქონია

შემდეგი მეთოდი, რომლის გამოყენებასაც ვეცადე, იყო სასწავლო გარემო. სასწავლო წლის დასაწყისშივე საკლასო ოთახში შეძლებისდაგვარად შევქმენი ესთეტიკური გარემო, გავაფორმე თემატური სურათებითა და სტენდური მასალით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი მცდელობები ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა მე-9ა კლასის მოსწავლეებისათვის და მათი ინდიფერენტული,გულგრილი დამოკიდებულება სკოლისა და სწავლის პროცესის მიმართ იგივე დარჩა.

თავი IV

კვლევის დიზაინი

4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი:

1. საბაზო საფეხურის მოსწავლეები (მე-7/მე-9 კლასები);
2. საბაზო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები;
3. საბაზო საფეხურის კლასებში შემსვლელი მასწავლებლები.

4.2. კვლევის მეთოდები:

- ჩაღრმავებული ინტერვიუ
- ფოკუსჯგუფი
- ფოკუსირებული დაკვირვება
- მეორადი მონაცემების ანალიზი

4.3. კვლევის ვადები

აქტივობა	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის შერჩევა	✓					
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება		✓				
ინტერვიუ პედაგოგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან			✓			
ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან, მშობლებთან			✓	✓	✓	
მეორადი მონაცემების შეგროვება და ანალიზი				✓	✓	
კითხვარების შედგენა-დამუშავება		✓	✓	✓		
მიღებული შედეგების ანალიზი				✓	✓	
სავარაუდო ინტერვენციის განხილვა		✓	✓			
ინტერვენციის განხორციელება				✓	✓	✓
ინტერვენციის შედეგების ანალიზი					✓	✓
დაინტერესებულ პირთათვის პრეზენტაცია და შედეგების გაცნობა						✓

4.4. კვლევის გეგმა

ფოკუსჯგუფიჩატარდა მე-9 კლასის მოსწავლეებთან თემაზე:,,გარდატეხის ასაკი - 11-18 წლის მოზარდის ასაკობრივი განვითარება“. რადგან ფოკუსჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა 8-10-ს არ უნდა აღემატებოდეს, გადავწყვიტე მოსწავლეთა რაოდენობის ორად გაყოფა და ცალცალკეჩატარება. კითხვარის მომზადებასა და შედეგების ანალიზში დამეხმარნენ თსუ-ს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, ჩემი ყოფილი მოსწავლეები.

ფოკუსჯგუფი ჩავატარე მშობლებთანაც. შესაბამისი კითხვარისა და დისკუსიის საფუძველზე დავადგინე, რომ მშობლების უმრავლესობას არ აქვს პასუხი, რამ განაპირობა მათი შვილების ინდიფერენტული დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ;

კითხვარები მომზადდა როგორც მეცხრე, ასევე მეშვიდე კლასის მოსწავლეთათვის. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 25-მა მოსწავლემ. მოსწავლეებს კითხვარები გავატანე სახლში, რათა მშვიდ გარემოში ყურადღებით და გულწრფელად გაეცათ პასუხები. დაბრუნებული კითხვარებით ზოგადი წარმოდგენა შემექმნა მოსწავლეთა მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორებზე, კერძოდ, გამიადვილდა დამედგინა, მათი აზრით, რა განაპირობებს საგნის სიყვარულს.

ინტერვიუში მონაწილეობა მივაღებინე როგორც მე-9 კლასის მოსწავლეებს, აგრეთვე მე-7 და მე-10 კლასელებსაც. აღნიშნული მეთოდიდამეხმარა გამერკვია, რამდენად ესმით მოსწავლეებს ტერმინი - გარდატეხის ასაკი, საკმაოდ მნიშვნელოვანი პერიოდი ბავშვისა და მომავალი პიროვნების ცხოვრებაში, იციან თუ არა, რამდენ ეტაპად იყოფა ადამიანის განვითარების ეს კრიზისული პერიოდი - (წინაჰუბერტატი 11-13 წელი, ადრეული ჰუბერტატი 13-15 წელი, შუა ჰუბერტატი 15-17 წელი, გვიანი ჰუბერტატი 17-19 წელი), ყურადღება გავამახვილებინე იმ ფაქტორზეც, რომ გოგონებში საშუალოდ ჰუბერტატის ასაკი 11 წლის ასაკში იწყება, ბიჭებში კი 12 წლის ასაკში და თვისობრივად იცვლება ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, მისი სხეული, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება.

კითხვარის შევსება პირისპირ ინტერვიუს საფუძველზე ჩატარდა მშობლებთან. ამით შევძელი გამერკვია თუ რა იციანმშობლებმა ასაკობრივი თავისებურებების შესახებ. რამდენად აცნობიერებენ, რომ გარდატეხის ასაკის კრიზისული პერიოდის დაძლევაში უმნიშვნელოვანესია მათი როლი, რადგან სწორედ ამ პერიოდზეა დამოკიდებული ბავშვის პიროვნული ჩამოყალიბება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მომავალი ცხოვრება.

ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილებზე გამოვიყენე დავკვირვებოდი ჩემს მოსწავლეებში -

ა) გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ ნიშნებს, როგორიცაა - სიმაღლეში ზრდა, კუნთების მასის მატება, ხმის ტემბრი, სახეზე გამონაყარი და ა.შ)

ბ) შემეცნებითი უნარების განვითარებას: ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარი, ალტერნატივების დანახვისა და გაგების უნარი, კამათის და დისკუსიის მოთხოვნილება, ძლიერი წარმოსახვა, ცნობისმოყვარეობა, უცნობის და ახლის გამოცდის სურვილი, საკუთარი თავის შემეცნების სურვილი.

გ) ფსიქო-ემოციური განვითარების დამახასიათებელ ნიშნებს : უხერხულობის განცდა და სიმორცხვე, საკუთარი თავით და გარშემომყოფებით უკმაყოფილება, გრძნობებისა და აზრების ამბივალენტობა, იმპულსურობა, უხალისობა და უგუნებობა, ემოციური აფეთქებები, სტრესი.

მათი სოციალურიგანვითარების: ე.წ. ,,მე -კონცეფციის“ - დასადგენად როგორც საგაკვეთილო, ასევე არაფორმალურ ვითარებაში ვაკვირდებოდი გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელ შემდეგ ნიშნებს:

- ✓ ჰქონდათ თუ არა დამოუკიდებლობის სურვილი;
- ✓ თანატოლების მხრიდან აღიარების სურვილი;
- ✓ კონკრეტულ ჯგუფებთან მიკუთვნების და აღიარების სურვილი;
- ✓ ე.წ. ,,მე“-ს იდენტობის ძიება;
- ✓ ადამიანებთან ურთიერთობით ექსპერიმენტირება;
- ✓ ალტერნატიული როლების იდენტობების მორგება, მათ შორის ნეგატიურის და სარისკოსი;
- ✓ მნიშვნელოვანი ჯგუფის გავლენის ქვეშ ადვილად მოქცევის ტენდენცია.

რადგან ამ ასაკობრივ ჯგუფში ძლიერია დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა,არჩევანის თავისუფლება დაგანსაკუთრებულ ღირებულებას იძენს პროსოციალური ქცევის მაგალითები, გადავწყვიტე წამეხალისებინა მათი ენთუზიაზმი ეზრუნათ სხვაზე და შევთავაზე აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი სკოლის მოსწავლე ლუკა ნადოევისთვის გამართულ საქველმოქმედო აქციაში. ამით არა მარტო სასარგებლო ქმედებისკენ ვუბიძგე ჩემს მოსწავლეებს და დავუკმაყოფილე მოხალისეობისა და ლიდერობის მოთხოვნილება, არამედ შევამცირე მათი სარისკო ქცევებში ჩართვის ალბათობაც

.განხორციელდააღწერითი,
ფოკუსირებულიდაშერჩევითიდაკვირვებადაბალიაკადემიურიმოსწრებისმქონემოსწავლეებზე;

თავი V

კვლევის შედეგები

5.1. მონაცემთა ანალიზი

ფოკუსჯგუფისშედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების ერთ-ერთი მიზეზი საგნის ნაკლები სიყვარულია. მათი აზრით, საგნის სიყვარულს მასწავლებლისადმი დამოკიდებულებაგანაპირობებს ანუ მოსწავლეებს, რომელთაც მოსწონთ მასწავლებელი, მოსწონთ ის საგანიც, რომელსაც იგი ასწავლის(28%). შემდეგ გამოიკვეთა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საგნით დაინტერესება(24%), საგნის სიადვილე(17%), თანატოლების ზეგავლენა (13%),ოჯახის ზეგავლენა (5%), 13% -მა ვერ ახსნა თუ რატომ მოსწონთ ესა თუ ის საგანი.



საგნის ნაკლები სიყვარულის მიზეზად დასახელდა ის, რომ საგანი არის რთული და მოსწავლეებს არ შეუძლიათ მისი დადებით ქულაზე დაძლევა(39%), შემდეგ მიზეზად დასახელდა ის, რომგაკვეთილის პროცესი არის მოსაწყენი(34%), სახელმძღვანელო უინტერესო შინაარსისაა და ზოგადად, გაკვეთილიც ნაკლებად ინფორმაციულია (25%), გამოკითხულთა ნაწილსარ მოსწონს მასწავლებელი (2%)



ინტერვიუს შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მშობლები მასწავლებლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას არასწორად აღიქვამენ. მაგალითად: თუ მოსწავლე კონკრეტულ საგანში იღებს დაბალ შეფასებას, მშობელი ფიქრობს, რომ მასწავლებელი სუბიექტურია შეფასებისას, ამიტომ ბუნდოვანი რჩება მათი შვილების წარმატება-წარუმატებლობა. მშობლებს უჭირთ იმის გააზრებაც, რომ გარდატეხის ასაკში მოზარდზე ზეწოლა, ჩხუბი, მუქარა - ყველაზე არაეფექტური სტრატეგიაა, რადგან სრულიად საპირისპირო შედეგი მოაქვს. ამ დროს ბავშვი უფრო იკეტება, უფრო დაუმორჩილებელი და ჯიუტი ხდება.

კითხვარების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს არ მოსწონთ სწავლების ის მეთოდები, რომელთაც მასწავლებლები იყენებენ, რაც იწვევს იმას, რომ მათ არ მოსწონთ მოცემული საგანი. მათი აზრით, სწავლების მეთოდების შეცვლა არის ის საშუალება, რომელიც მოსწავლეების მოტივაციას სწავლისადმი საგრძნობლად გაზრდიდა.

ასევე მოსწავლეებს უჭირთ ან არ ესმით ის ფორმალური ენა, რომლითაც მასწავლებელი გაკვეთილს ხსნის ანუ მასწავლებლის ენა რთულად ეჩვენებათ, რაც მოსწავლესუქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის რეალობა, რომელზეც მასწავლებელი საუბრობს, სრულიად განსხვავდება იმ რეალობისაგან, რომელშიც თვითონ ცხოვრობს, ეს კი იწვევს მისი სასწავლო მოტივაციის დაქვეითებას და შესაბამისად, დაბალ აკადემიურ მოსწრებას.

ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორად მოსწავლეებიც და მშობლებიც ასახელებენ მასწავლებელთა მიდგომებს ბავშვებისადმი ანუ მათი აზრით, მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ თავი შეაყვაროს მოსწავლეს, რის შედეგადაც მოსწავლე-მასწავლებელს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდება.

სწავლების ხარისხის ასამაღლებლად მოსწავლეების ნაწილი გვთავაზობს, რომ გაკვეთილებზე გამოვიყენოთ მეტი თვალსაჩინოება, ჯგუფური მუშაობის მეთოდები, თამაშით სწავლება, დამატებითი გაკვეთილები, ნუ ვიქნებით ბავშვების მიმართ ზედმეტად მკაცრები, სუბიექტურები, ვიმეგობროთ მათთან და შევუქმნათ პოზიტიური გარემო.

გაკვეთილებზე ფოკუსირებული დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომმასწავლებელები ნაკლებად ვიყენებთ სწავლების თანამედროვე ინოვაციურ მეთოდებს და ვერ ვაცნობიერებთ მის მნიშვნელობას სწავლება-სწავლის პროცესში. გვავიწყდება, რომ საგაკვეთილო პროცესი ბევრად ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლეს პასიურად შეძენილი ცოდნის ნაცვლად, კონსტრუირებულ, კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ განათლებას აძლევს. ამგვარად აგებული სასწავლო პროცესი კი განაპირობებს მოზარდებში კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნებისა და პრობლემათა გადაჭრის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარებს.

5.2. კვლევის მიგნებები

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- გამოცდილების გაზიარების ნაკლებობა საბაზო საფეხურის პედაგოგებს შორის;
- შეუსაბამო მოლოდინები მოსწავლეების მიმართ;
- მასწავლებლების არასწორად ორიენტირებული საქმიანობები ვეღარ ახდენს პოზიტიურ გავლენას მოსწავლეთა შედეგებზე.

- მასწავლებელთა და მშობელთა ნაწილი არ იცნობს გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელ აუცილებელ ფაქტორებს და ვერ აცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკმაოდ დიდი პერიოდი ბავშვის და მომავალი პიროვნების ცხოვრებაში.

5.3. შესაძლო ინტერვენციები

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის და მონაცემთა ანალიზის საუძველზე შევიმუშავე სავარაუდო ინტერვენციის რამდენიმე ვარიანტი:

- ✓ დაკვირვების დღიურის წარმოება, სადაც მასწავლებლები პერიოდულად ჩავინიშნავთ მოსწავლეთა გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ფსიქო-ემოციური განვითარებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს;
- ✓ მშობლებისთვის პრეზენტაციის მომზადება თემაზე: ,,11-18 წლის მოზარდის ფიზიკური, კოგნიტური და სოციალური განვითარება“
- ✓ თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება;
- ✓ მასწავლებელთა გადამზადება სწავლების ინოვაციური მეთოდების დასანერგად;
- ✓ დისკუსიების ჩატარება მოსწავლეთა ,,მე-კონცეფციის“ დასადგენად.
- ✓ თსუ ფსიქოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად ფოკუსჯგუფების ჩატარება.

5.4. განხორციელებული ცვლილებები

ზემოთ მოცემული ინტერვენციების ვარიანტები გავაცანი კოლეგებს, ადმინსტრაციას, რის შემდეგაც განვახორციელე შემდეგი ცვლილებები:

- ✓ მშობლებს წარვუდგინე პრეზენტაცია თემაზე: ,,11-18 წლის მოზარდის ფიზიკური, კოგნიტური და სოციალური განვითარება“
- ✓ თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით დავესწარი საბაზო საფეხურის მასწავლებელთა გაკვეთილებს;
- ✓ ჩავატარე დისკუსია თემაზე: ,,ვინ ვარ მე“
- ✓ შევხვდი თსუ ფსიქოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს და მოვამზადე ფოკუსჯგუფის კითხვარი.
- ✓ ჩავატარე კლასის საათები შემდეგ თემებზე:
  1. კონფორმიზმი
  2. უნდა გვეშინოდეს თუ არა კრიტიკის

3. მიმბაძველობა - კუმირები და თაყვანისმცემლები
4. მეტსახელები - იარლიყები
5. ჩაცმის სტილი - ჩვენი იმიჯი
6. ჩემი არჩევანი

მოსწავლეებს მოვასმენინე ნეიროფსიქოლოგ თამარ გაგოშიძის ვიდეოჩანაწერები ქცევის მართვაზე და გავმართეთ დისკუსია.

პროექტ ,,ცოცხალი წიგნების" ფარგლებში მოვაწყვე შეხვედრა თანამედროვე ქართველ მწერალ ირაკლი ლომოურთან.

იმის დასადგენად, თუ რამდენად ვახერხებდი ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განხორციელებას, ვაწარმოებდი თვითდაკვირვების დღიურს, სადაც პერიოდულად ვინიშნავდი ჩემ მიერ გამოყენებული მეოდებისა და სტრატეგიების ეფექტურობას. ვაკვირდებოდი არა მარტო მე-9ა კლსის მოსწავლეებს, არამედ იმათაც, რომლებსაც საბაზო საფეხურზე ვასწავლი.

თავი Vi

რეკომენდაციები და ინტერვენციის შეფასება

6.1.რეკომენდაციები

სიტუაციის გაჯანსაღების და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ასამაღლებლად შევიმუშავეთ შემდეგი ხასიათის რეკომენდაციები:

1. მასწავლებლებმა საბაზო საფეხურის მე-9 კლასის მოსწავლეებს შესთავაზონ მათ ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული ინოვაციური მეთოდებით დაგეგმილი გაკვეთილები;
2. განხორციელდეს სხვადასხვა სასწავლო ან სოციალური პროექტი;
3. მეტი ყურადღება დაეთმოს არაფორმალურ განათლებას;
4. მოეწყოს სასწავლო კულტურულ-შემეცნებითი ექსურსიები;
5. ჩართულობის პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის შემუშავდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო-აღმზრდელობითი მიდგომები;
6. მასწავლებლებმა უზრუნველყონ მოსწავლეებში იმ უნარჩვევებისა და რწმენების ჩამოყალიბება, რომლებიც მათ კონკრეტული ამოცანების შესრულებაში დაეხმარება.
7. მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად დაინერგოს წამახალისებელი მექანიზმები.
8. ჩამოყალიბდეს ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა.
9. აქტიურად ჩავრთოთ მოსწავლეები სასწავლო პროცესში და მივცეთ აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება.
10. შევუქმნათ უსაფრთხო სასწავლო გარემო.

6.2.ინტერვენციის შეფასება

ინტერვენციების განხორციელებამ, ვფიქრობ, დადებითი შედეგი გამოიღო. მე-9ა კლასის მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლება-სწავლის მიმართ შეიცვალა. თუმცა ეს დაკავშირებული იყო მხოლოდ მათ გარეგან მოტივაციაზე და ნაკლებად შინაგანზე. გააქტიურდნენ არა მარტო საგაკვეთილო პროცესში, არამედ კლასგარეშე ღონისძიებებშიც.ჩატარებული კლასის საათები, დისკუსიები, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებები ეფექტური საშუალება აღმოჩნდა ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესაცვლელად და ისეთი შემეცნებითი უნარების განსავითარებლად, როგორიცაა: ლოგიკური აზროვნება, ალტერნატივების დანახვა, უცნობის და ახლის გამოცდის სურვილი, ძლიერი წარმოსახვა, ცნობისმოყვარეობა, კამათის, დისკუსიი მოთხოვნილება და ა.შ.

  კოლეგებთან თანამშრომლობამ და გამოცდილების გაზიარებამ ბევრი მანამდე ბუნდოვანი დეტალი ნათელი გახადა და დამეხმარა საკუთარი იდეების სტრუქტურირებაში.

მშობელთა ჩართულობის ზრდამ შვილის განათლების პროცესში განაპირობა მოსწავლეთა უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება, განუვითარა სოციალური უნარები, საკუთარი თავის რწმენა და მათი ქცევა უფრო პოზიტიური გახდა არა მარტო სკოლაში, არამედ სახლშიც, ამავე დროს გაუმჯობესდა დასწრების მაჩვენებელიც.

რაც შეეხება ჩემ მიერ მომზადებულ და ჩატარებულ პრეზენტაციებს მოზარდის ასაკობრივ თავისებურებებზე, ვფიქრობ, მშობლებს დაეხმარება იმის გააზრებაში, რომ გარდამავალი ასაკის ბავშვების სწავლება და აღზრდა გაცილებით მეტ სირთულესა და სიძნელესთან არის დაკავშირებული, ვიდრე უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის. მოწიფულობაში გადასვლის პროცესი დაკავშირებულია უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობების რღვევასთან, ცხოვრებისა და ქცევის პირობების შეცვლასთან და ამ დროს არასწორია მხოლოდ დამოძღვრა, ყვირილი, დასჯა, მშობელი უნდა გახდეს სწორედ ის ადამიანი, რომელსაც შვილის მოფერება, ნუგეშისცემა, მხარდაჭერა შეუძლია.

თავი VII

დასკვნა

სკოლაში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე-9ა კლასში დაბალი აკადემიური მოსწრება განაპირობა: მე-9ა კლასის მოსწავლეთა სწავლის მიმართ ინტერესისა და მოტივაციის უქონლობამ, რომელიც, სავარაუდოდ, უკავშირდება ე.წ.ჰუბერტატულ ასაკს, არაეფექტურ სწავლების მეთოდებს, გარემოს, რომელიც ხელს არ იწყობს მოსწავლეთა განვითარებას და არ წაახალისებს მათ აკადემიურ მიღწევებს; მნიშვნელოვანია საგნის მასწავლებლის როლიც, რაც თავისთავად მოიცავს ახალი მასალის გასაგები ენით ახსნას, თვალსაჩინოების გამოყენებას, მოსწავლეებისადმი ინდივიდუალურ მიდგომებს, ჯგუფური და სხვა ინოვაციური მეთოდების გამოყენებას. მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითებას იწვევს მასწავლებელთა მიერ გამოყენებული სხვადასხვა ტიპის ძალადობრივი მეთოდებიც. მოსწავლეებს მოსწონთ მომთხოვნი მასწავლებელი, მაგრამ აკრიტიკებენ ზედმეტ სიმკაცრეს და ძალადობის გამოყენებას. კარგი იქნება თუ მასწავლებლები შევცვლით მათთან მიდგომის მეთოდებს და ვიზრუნებთ დადებითი ურთიერთობების განვითარებაზე, რომელიც იქნება უფრო ობიექტური და სამართლიანი. აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა რამდენიმე სარგებელი: მასწავლებლების ნაწილს გაუჩნდა პასუხისმგებლობის აღების ვალდებულება სწავლება-სწავლის ხარისხზე; მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი გახდნენ; გაიზარდა მშობელთა ჩართულობა. მიმაჩნია, რომ კვლევაზე

დაფუძნებული გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს ნებისმიერი მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინასარიძე მ. ლობჟანიზე ს. რატიანი მ. სამსონია ი. ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი", ნაწ.2, 2016 წ. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf
2. ლობჟანიძეს. ,,როგორწარვმართოთპედაგოგიურიკვლევები '' ინტერნეტჟურნალი ,,მასწავლებელი" 2012 წ. 3 მაისი,http://mastsavlebeli.ge/?p=281
3. გიორგაძემიხ. ,,როგორვომუშაოთპედაგოგიურკვლევებზე?" /ციფრულირესურსი/ http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201
4. ზურაბიშვილით. ,,თვისებრივიმეთოდებისოციალურკვლევაში" სოციალურსოციალურმეცნიერებათაცენტრი 2006 წ.
5. http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=173
6. წულაძელ. ,,რაოდენობრივიკვლევისმეთოდებისოციალურმეცნიერებებში" თბ. 2008წ.
7. http://css.ge/files/Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf
8. თეოჭყოიძე, რაფაქტორებიუწყობენხელსსწავლისმოტივაციისამაღლებას;
9. თამარკაციტაძე, როგორავიმაღლოთსწავლისმოტივაცია, 2012წ;
10. ნათიაარაბული, მოტივაციისამაღლებისსაშუალებები, 2013წ;
11. ირინააბულაძე, მოტივაციათეორიასადაპრაქტიკაში, 2014წ
12. file:///C:/Users/home/Downloads/PISA2015FT_PAQ_kat-GEO_2.6-FinalApproval%20(2).pdf

დანართი

კითხვარი მოსწავლეთათვის

რამდენი წიგნი გაქვთ სახლში?

გაითვალისწინეთ, რომ, ჩვეულებრივ, წიგნების თაროს ერთ მეტრზე 40 წიგნი ეტევა. არ ჩათვალოთ ჟურნალები, გაზეთები და თქვენი სახელმძღვანელოები.

*გთხოვთ, მონიშნოთ **ერთი** პასუხი.*

- ☐1 0-10 წიგნი
- ☐2 11-25 წიგნი
- ☐3 26-100 წიგნი
- ☐4 101-200 წიგნი

□5 201-500 წიგნი

□6 არვიცი, მიჭირსპასუხისგაცემა

შემდეგიჩამონათვალიდანრაგაქვთსახლში?

(თითოეულხაზზემონიშნეერთიპასუხი)

	დიახ	*არა*
სამუშაომაგიდა	□1	□2
საკუთარიოთახი	□1	□2
მყუდროადგილისამეცადინოდ	□1	□2
კომპიუტერი, რომელსაცსაშინაოდავალებისმოსამზადებლადიყენებ	□1	□2
ინტერნეტი	□1	□2
წიგნებიმეცნიერებაზე, ენციკლოპედიები	□1	□2

1. **შენსსკოლასთანდაკავშირებითრამდენადეთანხმებიანარეთანხმებიმოცემულშეხედულებებს?**

(ყოველხაზზემონიშნეერთიპასუხი)

		სრულიადვეთანხმები	ვეთანხმები	არვეთანხმები	საერთოდარვეთანხმები
ა)	სკოლაშითავსუცხოდ (გარიყულად) ვგრძნობ.	□1	□2	□3	□4
ბ)	სკოლაშიადვილადვუმეგობრდებიბავშვებს.	□1	□2	□3	□4
გ)	სკოლაში, როგორცსაკუთარსახლში,ისევგრძნობთავს.	□1	□2	□3	□4
დ)	სკოლაშითავსუხერხულად, ცუდადვგრძნობ.	□1	□2	□3	□4
ე)	აშკარაა, რომსხვამოსწავლეებსმოვწონვარ.	□1	□2	□3	□4
ვ)	სკოლაშითავსმარტოვგრძნობ.	□1	□2	□3	□4

2. **ბოლო ორი კვირის მანძილზე, რამდენჯერ დაიგვიანეთ და /ან გააცდინეთ სკოლა არასაპატიო მიზეზით?**

*გთხოვთ, ყოველ სტრიქონში მონიშნოთ **ერთი** პასუხი.*

		არცერთხელ	ერთხელ ან ორჯერ	სამჯერ ან ოთხჯერ	ხუთჯერ ან მეტჯერ
ა)	დავაგვიანე სკოლაში.....	☐1	☐2	☐3	☐4
ბ)	გავაცდინე სკოლა	☐1	☐2	☐3	☐4

კითხვარი მასწავლებლებისთვის

რა ხარისხით იჩენს თავს თქვენი სკოლის მე-9 კლასელებთან დაკავშირებით შემდეგი პრობლემები?

*გთხოვთ, ყოველი სტრიქონის გასწვრივ მონიშნოთ **ერთი** პასუხი.*

		სრულიადარა	მცირედ	საკმაოდ	ძალიან
ა)	მოსწავლეთასკოლაშიდაგვიანება.....	☐1	☐2	☐3	☐4
ბ)	მოსწავლეთა მიერ სკოლის უმიზეზო გაცდენები	☐1	☐2	☐3	☐4
გ)	გაკვეთილისმსვლელობისასხელისშეშლა.....	☐1	☐2	☐3	☐4
დ)	კარნახი, გადაწერა	☐1	☐2	☐3	☐4
ე)	მოსწავლეთაბილწსიტყვაობა.....	☐1	☐2	☐3	☐4
ვ)	ქურდობა.	☐1	☐2	☐3	☐4
ზ)	დაშინება და სიტყვიერი შეურაცხყოფა მოსწავლეთა შორის.....	☐1	☐2	☐3	☐4
თ)	მოსწავლეებისათვის ფიზიკური ზიანის მიყენება	☐1	☐2	☐3	☐4
ი)	მოსწავლეების მხრიდან მასწავლებლების უპატივცემულობა	☐1	☐2	☐3	☐4

მიმდინარე სასწავლოწელსქვემოთჩამოთვლილთაგან, რომელღონისძიება ჩატარდა თქვენისკოლის მე-9 კლასელი მოსწავლეებისთვის?

*გთხოვთ, ყოველ სტრიქონში მონიშნოთ **ერთი** პასუხი.*

		დიახ	არა
ა)	სასკოლოგაზეთიანჟურნალის მომზადება	☐1	☐2
ბ)	მოხალისეობაანმონაწილეობაჰუმანიტარულაქციებში(მაგ., „კათარზისის“, განსაკუთრებულისაჭიროებების, მზრუნველობასმოკლებულბავშვთასახლებისდახმარება)	☐1	☐2
გ)	საგნობრივიწრეები	☐1	☐2
დ)	საბუნებისმეტყველოსაგნებშიშეჯიბრები. მაგ., ოლიმპიადა, შეჯიბრები	☐1	☐2
ე)	კომპიუტერულიდასაინფორმაციოკომუნიკაციებისადატექნოლოგიებისწრე	☐1	☐2
ვ)	ხელოვნებისკლუბიანხელოვნებასთანდაკავშირებულიღონისძიებები (სასკოლოსპექტაკლი და სხვა)	☐1	☐2
ზ)	სპორტულიგუნდიანსპორტულიშეჯიბრები	☐1	☐2
თ)	ლაშქრობებიისტორიულანღირსშესანიშნავადგილებში	☐1	☐2

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ გამონათქვამებს თქვენს კლასში მოსწავლეების ქცევის შესახებ გაკვეთილზე? (კითხვარი მოსწავლეთათვის)

*გთხოვთ, ყოველ სტრიქონში მონიშნოთ **ერთი** პასუხი.*

		საერთოდ არ ეთანხმები	**არ ეთანხმები**	**ეთანხმები**	**სრულიად ეთანხმები**
ა)	ამ საგნის გაკვეთილებზე მოსწავლეების ყოფაქცევა მასწავლებლის კონტროლს ემორჩილება.	☐1	☐2	☐3	☐4
ბ)	ძალიან არ მომწონს, როგორ იქცევიან მოსწავლეები ამ საგნის გაკვეთილებზე.	☐1	☐2	☐3	☐4
გ)	ამ საგნის გაკვეთილებზე მოსწავლეების ქცევა მასწავლებელს აბრაზებს ხოლმე.	☐1	☐2	☐3	☐4
ე)	მოსწავლეები ისე იქცევიან, როგორც მასწავლებელს უნდა.	☐1	☐2	☐3	☐4
ვ)	მოსწავლეები ამ საგნის გაკვეთილებზე მასწავლებელს პატივისცემით ეპყრობიან.....	☐1	☐2	☐3	☐4
ზ)	ამ გაკვეთილზე კლასი დაკავებულია ხოლმე და დროს ფუჭად არ ხარჯავს.....	☐1	☐2	☐3	☐4

კითხვარი მშობელთათვის

თქვენ ან ოჯახის სხვა წევრები რამდენად ხშირად ხართ დაკავებული შემდეგი საქმიანობით:

	არასოდეს	თვეში ერთხელ	კვირაში ორჯერ მაინც	ყოველ დღე
ჩემს შვილათანერთად განვიხილავ რას სწავლობს და როგორ სწავლობს.				
ვამხნევებ,რათა საკუთარი თავის მიმართ რწმენა განუმტკიცდეს.				
ჩემს შვილს შეკითხვებს ვუსვამ სასწავლო მასალასთან დაკავშირებით, რათა დავეხმარო საკითხების უკეთ გაგებაში.				
მხარს ვუჭერ ჩემი შვილის ძალისხმევას და სკოლაში მის წარმატებას				
ვცდილობ ჩემი შვილი დავიცვა იმ ოჯახური პრობლემებისგან, რომლებმაც შეიძლება სწავლაში ხელი შეუშალოს.				
ჩემს შვილს წავახალისებ დაეუფლოს ახალ ცოდნასა და უნარებს				
ვეთანხმები სკოლის წესებს, სასკოლო დისციპლინას.				
ვეხმარები სასკოლო დავალებების მომზადებაში				
ვეკითხები მოსწონს თუ არა რასაც სწავლობს				
ინტერესს ვიჩენ ჩემი შვილის აქტივობების მიმართ				

ჩემს შვილს მხარში ვუდგავარ, როდესაც სკოლაში სირთულეებს აწყდება		

კვლევის შედეგების გაზიარების რეფლექსია

მოგეხსენებათ, რომ საკვლევი თემა გახლდათ საბაზო საფეხურზე, კერძოდ მე-9ა კლასში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისის ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება. პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე კოლეგებში ამ კვლევამ იმთავითვე აღძრა ინტერესი. ბუნებრივია, მათი უმეტესობა საქმის კურსში იყო, რადგან ან დამრიგებელი იყო, ან საბაზო საფეხურის მასწავლებელი, რომელთანაც გასაუბრება მიწევდა შიგადაშიგ, ან გამოკითხვაში მონაწილეობდა, მაგრამ საბოლოო შედეგებისა და ინტერვენციის გავლენის შესახებ ინფორმაცია მათთვის საინტერესო აღმოჩნდა.

კვლევის შედეგები მოკლე პრეზენტაციის სახით წარვადგინე კოლეგებთან და ბუნებრივია, აღარ დამჭირდა საკითხის აქტუალობის მტკიცება და პირდაპირ კვლევის შედეგები, ინტერვენციის პროცესი და საბოლოო დასკვნები წარვადგინე. რა თქმა უნდა , ვიზუალიზება საჭიროდ ჩავთვალე და კვლევაში წარმოდგენილმა გრაფიკებმა პედაგოგებისთვისაც ადვილად აღსაქმელი გახადა გამოკითხვის შედეგები.

კვლევის შედეგების გაზიარება საინტერსო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. დაინტერესდნენ შედეგებით და გაუჩნდათ სურვილი საკუთარი პრაქტიკის კვლევა განეხორციელებინათ, არ თქმა უნდა, მათი პარქტიკის საჭიროებიდან გამომდინარე.

უკუკავშირიც იყო როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც. კოლეგების ნაწილის აზრით, მსგავსი აქტივობები შეიძლება არ იყოს ეფექტური. საბოლოო ჯამში უკუკავშირი ჩემთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. დამაფიქრა იმაზე, რომ კიდევ უამრავი ინტერვენციის მოფიქრება და განხორციელება შეიძლება ამ კუთხით, დამარწმუნა იმაში, რომ ამ საკითხზე მუშაობა აუცილებელია, ხოლო მეთოდები და გზები - ამოუწურავი. ზოგადად თუ ვიტყვით, ეს არ არის ტრადიციულად გაგებული ,,გაზიარება“. ეს იყო გულახდილი საუბარი წარმოდგენილ კვლევაზე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი საბაზო საფეხურის მასწავლებლებს.